


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცმეში, ბეჭდით ბეჭდუბი სიფყავა, ფყუილებით და ჭბბბბით ბუბბის გაცანა ყუელა უჯბბბბბბბბ უსბბბბბბბ.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, **31** ოქტომბერი, 2014 წელი.

№222 (7603)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge **ვებ გვერდი: www.open.ge** **ფასი 50 თეთრი.**

პროვოკაციის მოლოდინში

ნასისტური 9
დესტაბილიზაციის
პირისპირ

15 ნოემბრის დაანონსებული აქცია და 15 ლარი მისი მონაწილეებისთვის

გიორგი საბარაიშვილი:

არ ვხემათ, არ დავარბევთ და არც ფეკალიებს ვესვრით!

3

ალექსანდრე თვალჭრელიძე:

სა და დედამინაა ის, რას არის ახლა და რას იყო ორი წლის წინათ

4

პარლამენტში დავუბატთა 2
ეთიკის კოდექსი მუშავდება

აგვისტოს ომი: პასუხები მთავარ კითხვებს 6

დადასტურებული ფაქტია, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს ღამით, მოხდა შეიარაღებული შეტაკება ქართულ სამხედრო ფორმირებებსა და რუს სამშვიდობო ძალთა ბატალიონს შორის. დაიღუპა სამშვიდობო ბატალიონის რამდენიმე რუსი ოფიცერი და ჯარისკაცი. არანაირი დახმარება რუსეთის არმიის ნაწილებისგან იმ დროს სამშვიდობო ძალთა ბატალიონს არც იმ ღამით და არც მომდევნო დღეს არ მიუღია, რადგან რუსული ნაწილები ცხინვალში და მის მისადგომებთან ჯერ კიდევ არ იმყოფებოდნენ.



© დღის ამოყვანურიდან

— ველარ გავიგეთ ამ საქართველოს მთავრობა ჰყავს თუ ქვეყანას კოჟორიძეები, გიგაურები და ლომჯარიები განაგებენ?! ტელევიზიის ეკრანზე სულ ეგენი ჩანან და ლაპარაკითაც სულ ეგენი გველაპარაკებიათ! რა ხდება, გაგვაგებინეთ ხალხს, თქვე დალოცვილებო!

ნარმატებული მინისტრის თავსატეხი 5

თავდასვის სამინისტროს დაკავებულ მაღალჩინოსნებს შორის ივანიშვილის „პროვოკაციის“ არიან

საუდრისზე ხელისუფლების კოზისიას 3 დეკემბერს 7
შევიტყობთ

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვავბან ვერ ნახავ!..

„პირადად პენინალაგები, რომ ჩართვის მექანიზმი მოხილული ოპერატორების და სასამართლოს ხელში იყოს“



მოსამართლის კანონთან დაკავშირებით ალტერნატიული ჯგუფის მიერ შემოთავაზებული ვერსია სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის რისკის შემცველია, ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის გახმაურებულ სხდომაზე განაცხადა.

საც საუბარია გუშინდელ, მობილური ოპერატორების ან სასამართლოს მიერ ე.წ. გასაღების ფლობაზე, ეს პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო საიდუმლოებასა და მოსახლეობის უსაფრთხოებასთან. „საუბარია იმაზე, რომ ე.წ. გასაღები იყოს, ერთი მხრივ, მობილური ოპერატორების ხელში, რომლებიც აცხადებენ, რომ არ სურთ მისი ფლობა. მეორე მხრივ, მე პირადად ვინააღმდეგები ამას, რომ ჩართვის მექანიზმი იყოს მობილური ოპერატორების და სასამართლოს ხელში. მობილური ოპერატორები სამივე შემთხვევაში არის უცხოური კომპანიების მფლობელობაში და არც ერთ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფოს ინტერესებს იცავენ, ამგვარი ტიპის მოწყობა არ არსებობს. მობილური ოპერატორები მაშინ შეიძლება მართავდნენ ამ საკითხს, თუ იქ დატულია მთელი რიგი უსაფრთხოების ნორმები. ჩვენს შემთხვევაში ასე არ არის და სახელმწიფო ქვეყნის, მოქალაქეების უსაფრთხოებას და სახელმწიფო საიდუმლოებას უცხოურ კომპანიებს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ვერ ანდობს. ამასთან, სამართალდამცავებს გართულებული აქვთ ურთიერთობა სასამართლოსთან, ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობები სასამართლოსთან, რადგან მკაცრად დასაბუთებულ შემთხვევებშიც კი ვერ ახერხებენ ნებართვის მიღებას, აქედან გამომდინარე, ჩემი შეფასებით, ეს გამოიწვევს სრულ კოლაფსს და სისტემა იქნება პარალიზებული“, – განაცხადა პრემიერმა.

თამარ ჩუგოშვილი პრემიერის თანაშემწე აღარ არის

აღამინის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის თანაშემწის თანამდებობაზე სოფო ჯაფარიძემ თამარ ჩუგოშვილი შეცვალა.

ჯერჯერობით უცნობია მიზეზი, თუ რატომ დატოვა ჩუგოშვილმა თანამდებობა, თუმცა, ერთ-ერთ მიზეზად მისი უცხოეთში წასვლა სახელდება. სოფო ჯაფარიძე პრემიერ-მინისტრმა ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭოს გუშინდელ სხდომაზე წარადგინა. „სოფო ჯაფარიძე პროფესიით სამართალმცოდნეა, ის დღემდე ევროკავშირის პროექტის მენეჯერი იყო. მანამდე კი სასაქონლო-სამართლებრივი მოადგილედ მუშაობდა. მას აქვს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობის დიდი გამოცდილება. მოგესხნებათ, ჩვენს მთავრობას აქვს ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლის ეფექტურად განხორციელებაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მე დარწმუნებული ვარ, რომ ქალბატონი სოფო ამ მოვალეობას თავს ღირსეულად გაართმევს“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მანდატურის სამსახურის განსხვავება

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური მედიაში გავერცხლებულ ინფორმაციას ეხმარება ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში თერაპიის პროცესის აუდიო-ვიდეოგადაღებასთან დაკავშირებით. როგორც „ინტერპრესნიუსს“ განათლების სამინისტროდან აცნობეს, აღნიშნულთან დაკავშირებით, მანდატურის სამსახური განმარტავს, რომ თერაპიის პროცესის აუდიო-ვიდეო ჩანერა არ განხორციელდება.

გააკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

- ჯერ გადაუმონებელი ინფორმაციით, გაზაფხულზე იწვება მოცა.
• ცნობილია, რომ ქრისტიანულ კოლეჯში ამერიკა აღმოაჩინა, ნიუტონმა – მსოფლიო მიზიდულობის კანონი, მენდელეევი – ელემენტების პერიოდული სისტემა, ძმებმა ზღაპერებმა – ფილოსოფია, ელდარ შენგელაიამ – ვასილ ჩხაიძე („ბიძია-ბაბუა“), შალვა რამიშვილი, ვინმე „ციცი“...
ნეტავ უნდა ნაწარმოები ვინ აღმოაჩინა?
• ერთი, ის ვერ გავიგე რატომ მიყვარს ვაშლის კურკები და მეორე, რა მოხელე-ჩიქვანია ბაჩუკი ქარდავა.
• 15 ნოემბერს ნაცები მართავენ აქციას მათ მიერ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების მოთხოვნით!
ორი ფაქტორია, რაც მაფიქრებინებს, რომ მათ ფეხებზე ჰკიდიათ საქართველოს დასაბრუნებელი თუ არსებული ტერიტორიები:

რაც შეიტანა, ისე ის გამოიტანაო

საპრაულო უსვედრის საპრაულო უფლებები

„საპრაულო უსვედრის საპრაულო უფლებები“ – ასაბრთველს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ იგი მზადაა თავის რუს კოლეგას – ვლადიმერ პუტინს შეხვედეს, მაგრამ იმ პირობით, რომ რუსეთმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უნდა დააფიქსიროს. რეალურად ეს ნიშნავს, რომ მოსკოვმა უნდა გააუქმოს 2008 წლის სექტემბრის ბრძანებულებები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლად აღიარებაზე, ასევე უნდა დახუროს სოხუმი და ცხინვალში მოქმედი საელჩოები და გაიყვანოს თავისი ბაზები. შექმნილი ფონი, ერთი შეხედვით, ხელს არ უწყობს შეხვედრას, მაგრამ რუსეთმა მაინც თანხმობა განაცხადა, წერს „პოლიტკომი“.

აფხაზეთის არალიარებული რესპუბლიკის ღრმა ინტეგრირების მიზნით. მართალია, ამ მცდელობას ხელშეკრულების სახე აქვს მიცემული, მაგრამ აშკარაა, რომ ასეთი დონის სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო ინტეგრაცია მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთი რუსეთის რეგიონად გადაიქცევა. რასაკვირველია, თბილისს ეს ყველაფერი ხელს არ აძლევს, მაგრამ არაფრის გაკეთება რომ არ შეუძლია? საერთაშორისო არენაზე საკითხის გატანასაც სასურველი შედეგი არ მოაქვს, რადგანაც ახლა რუსეთ-უკრაინის ურთიერთობებში შედარებით „დათბობა“ შეინიშნება და ამ ფონზე რუსეთის ზედმეტი გალიზინება არც ამერიკას და არც ევროკავშირს არ უნდა. გარდა ამისა, უკვე ცნობილია, რომ არც თბილისი და არც რუსეთი აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის აღიარების საკითხში უკან არ დაიხევენ. პრობლემა კონფედერაციული მოდელიდან უშველის. საბოლოო ჯამში ისევ ჩიხურ სიტუაციას ველებულობთ.



მაშ, რა მიზანი აქვს ასეთ პირობებში მარგველაშვილ-პუტინის საგარეო უსვედრას? აშკარაა, რომ თუ მხარეთა პირდაპირი კონტაქტი შედეგზე, საუბარი ძირითადად ისევ ეკონომიკურ თანამშრომლობაზე იქნება, თუმცა, ვინ იცის... რუსეთ-იაპონიის ურთიერთობებს თუ გაკითხვას ნინოშვილმა (მოსკოვსა და ტოკიოს ერთმანეთთან ტერიტორიული პრეტენზიები აქვთ), გამოირიცხა არაფერი არ არის. აქედან გამომდინარე, საქართველოსა და რუსეთის შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა და უმაღლესი დონის კონტაქტები გარდაუვალია, თუმცა, შენარჩუნდება სადაო პრობლემები არასასიამოვნო აგრესიული რიტორიკის თანხლებით. რას ვიზამთ, ასეთი კონიუნქტურისთვის გადახდილი ხარკი.

ინფორმაცია

გადაფილავი კომპანიების წარმომადგენლების გაუფასობა

საპრაულო უსვედრის საპრაულო უფლებები ეკონომიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი გიორგი კვიციანი გადამზიდავი კომპანიების წარმომადგენლების მიერ გაფიცვის გამოცხადებას უცნაურად მიიჩნევს. როგორც კვიციანის თანხმობაზე განუცხადა, ფოსტის შესახებ კანონზე მუშაობა ჯერ დასრულებული არ არის. მისივე განმარტებით, სახელმწიფო მზად არის, კერძო სექტორის ინტერესი გაითვალისწინოს. ამასთან, კვიციანის განმარტებით, აღნიშნულ კანონთან დაკავშირებით კომპანიების წარმომადგენლებს მომავალ კვირას პირადად შეხვედბა. „ჩემთვის ცოტა უცნაურია გაფიცვის ფორმა, ვინაიდან ამ საკითხზე მუშაობა არ დაგვიწყნებია. ვესაუბრე დღეს კომპანიების წარმომადგენლებს და მომავალი კვირის დასასრულისთვის დაგინიშნე შეხვედრა. მათ პირადად მე შეხვედბი და გვექნება მუხლობრივი განხილვა კანონისა. მე

პარლამენტში დაუზავთა ეთიკის კოდექსი გუგუდა

შესაბამისი განცხადება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი კახიანმა გააკეთა, რომელიც იმედს გამოთქვამს, რომ კოდექსის პროექტი მალე იქნება მზად.

განცხადება ეთიკის კოდექსის შემუშავების თაობაზე კახიანმა ოპოზიციონერი დეპუტატის გიორგი კანდელაკის გამოსვლის პასუხად გააკეთა. კერძოდ, როგორც კანდელაკმა პლენარულ სხდომაზე განაცხადა, ხშირად უმრავლესობის წევრები იყენებენ შეურაცხყოფელ გამოხატვებებს უმცირესობის წევრების, მათ შორის ქალების მიმართ, რასაც შესაბამისი რეაგირება არასდროს მოჰყოლია. მისივე თქმით, შექმნილია საპარლამენტო ეთიკის ჯგუფი, რომელსაც დღემდე არაფერი გაუკეთებია. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის ცნობით კი, ჯგუფი ეთიკის კოდექსზე მუშაობს. „ეთიკის კოდექსის პროექტზე მუშაობა მიმდინარეობს. ის, თუ რამდენად საჭიროა ასეთი კოდექსის არსებობა, სამსჯელოა. ვფიქრობ, ასეთი კოდექსის არსებობა საჭიროა, თუკი გავისწავლოთ შემთხვევებს, პერიოდულად ხდება პარლამენტში. პროექტზე მუშაობა მიმდინარეობს და იმედი მაქვს, მალე იქნება მზად“, – განაცხადა გიორგი კანდელაკმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე. კახიანმა პარლამენტის კომიტეტის მუშაობის ანგარიში წარუდგინა.



სისულელედ მიმაჩნია, მოაზროვნე ადამიანის მიერ უაზრო და არაფრისმომტანი მოქმედების შესრულება! ძალიან კარგად ვიცი ვეკლამ, რომ საჯიმბასაც და მი-თუმეტეს, პუტინს, სულ ერთ ადგილზე ჰკიდიათ ნაცების აქციები.
• თუ ასეთი მაღალი ეკონომიკური მაჩვენებელი გვაქვს, ხალხს რატომ არ ეტყობა?
მოსახლეობის თითქმის ნახევარი რატომ შიმშილობს? აააა, ეს იმათზეა გათვლილი, ვინც ჯიპებზე ზის?
ზოდიში...
• ისევ იტყუება ღარიბაშვილი, თითო ცოცარაში 15 ლარს კი არა, 16 ლარს ვისდითო, – განაცხადა ირმა ნადირაშვილმა!
• რა საინტერესო ამბავი გავიგე... აი ის ტიპი... „ცოცარით“ რომ უკრავდა „ნიჭიერიში“, მანდატურად მუშაობდა ერთ სკოლაში...
მოდი და ნუ დაიფასებ ცოცარ ხელისუფლებას!

დედაქალაქის „გამათა“ საყურადღებო!


თბილისი, სწრაფკვების სახლია ქალაქი!

თქმა არ უნდა: ნებისმიერი ახალი შენობა, სადაც კი აიგება, იქაურ გარემოს უნდა უზღვეოდეს...



ლია მომავალი „სწრაფი კვების ობიექტის“ სამივე სართულის რკინის კარკასი, თუმცა, სწრაფი...

დავინტერესდი - ჩემ ახალგაზრდობაში, მერც, ამ სკვერში ერთი პატარა კაფე იდგა, ხეებსა და ბუჩქებში...



არანაირი ახალი ობიექტის აშენების წინააღმდეგნი არა ვართ, უბრალოდ, ყურადღების გამახვილება რამდენიმე გარემოებაზე გვირდება...

მაზე დატირება ხომ რამდენჯერმე გაიზრდება? მერცა, ახალი მიწის ჩაყრას არავინ რომ არ ფიქრობს...

შპს „დაგის“ დაკვეთით კი ახალი ლუდის ბარი ვარაზისხევის დასაწყისში, ომში დალუპულ მემორიალს მემორიალის ზევით შენდება...

ერთი კია: საკანალიზაციო საშუალებები არც აქ მიმდინარეობს, სტუმართა ავტომანქანების სადგომის ადგილი აქაც არსად არ არის...

იქნებ ამაზე დაფიქრდეთ და რეაგირებაც მოახდინოთ ქალაქის „მამებო“?

ოთარ ტურაბაიძე ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

მკურნალი წინადადი ფეხების ტკივილი ბაწუსებით?

თურქეთის ლიცენზირებული ფირმა „POLAT“-ი ფეხების ტკივილისგან თავის დასაღწევად უნიკალური...

ყველა ტიპის დიაბეტის, გულის სისხლძარღვთა და კანის სხვადასხვა ინფექციით...



უცვლელი და უებარი საშუალებაა! ასეთი წინდები მისწრება იმათთვის, ვისაც ხანგრძლივი დროით...

წინდები ჩვეულებრივად ნელ-თბილ წყალში ირეცხება, მიზანშეწონილია მათი მთელი დღე-ღამის განმავლობაში ტარება.

შისაქმნად დარეკით 299-62-77 (გ. ახვლედიანის 19), იკითხეთ კუპონი.

პასიენტთა საყურადღებო! ეს არ არის რეკლამა! სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია...

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. 299-62-77; 568 82-09-84..

ცინცხალი ანეკდოტები ტიპი სამი კვირა დადიოდა კარატზე. მერე შესვდა ხულიგნებს და... სამი კვირა არ უვლია კარატზე.



ავტორთა საყურადღებო! რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას...